

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

“ჯი-თი მოტორსის”

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში ..	4
დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	10
რისკის მართვა	26
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
სასამართლო დავები	30
საწარმოს უწყვეტობის განხილვა	31
ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები	31
ბალანსის შემდგომი მოვლენები	33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “ჯი-თი მოტორს“-ის დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჯი-თი მოტორს“-ის თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2024 წლის 31 დეკემბრის თარიღისთვის, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ**“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას.

არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტის პროცესი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ**“ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებულ ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიში მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშში შესულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობით ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

რუსუდან ჩაგელიშვილი

22 აგვისტო 2025

თბილისი, საქართველო

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებულ ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიში მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშში შესულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობით ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

რუსუდან ჩაგელიშვილი

22 აგვისტო, 2025

თბილისი, საქართველო




შპს ჯი-თი მოტორს
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები:		
ძირითადი საშუალებები	6 79 490 008	46 282 388
არამატერიალური აქტივები	188 741	220 886
აქტივის გამოყენების უფლება	-	333 272
სულ გრძელვადიანი აქტივები	79 678 749	46 836 546
მიმდინარე აქტივები:		
მარაგები	7 109 084 225	74 824 013
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8 15 256 129	8 633 599
წინასწარ გადახდილი გადასახადები	9 239 819	678 113
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	10 9 913 173	29 275 798
სხვა მიმდინარე აქტივები	-	6 780
ფული და ფულის ექვივალენტები	11 6 381 261	16 305 526
სულ მიმდინარე აქტივები	140 874 607	129 723 829
სულ აქტივები	220 553 356	176 560 375
აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები		
აქციონერთა კაპიტალი:		
საწესდებო კაპიტალი	1 476 081	1 476 081
გაუნაწილებელი მოგება	163 749 219	143 600 054
მიწისა და შენობების გადაფასების რეზერვი	12 41 803 821	8 559 245
სულ აქციონერთა კაპიტალი	207 029 122	153 635 380
გრძელვადიანი ვალდებულებები:		
საიჯარო ვალდებულება	-	346 271
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	346 271
მიმდინარე ვალდებულებები:		
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	13 1 254 253	4 637 623
მიღებული ავანსები	14 11 419 339	17 501 275
გადასახდელი ხელფასები	850 642	439 824
სულ მიმდინარე ვალდებულებები	13 524 234	22 578 723
სულ ვალდებულებები	13 524 234	22 924 994
სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები	220 553 356	176 560 375

გენერალური დირექტორი
22 აგვისტო 2025
თბილისი, საქართველო

შპს ჯი-თი მოტორს
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	6	79 490 008	46 282 388
არამატერიალური აქტივები		188 741	220 886
აქტივის გამოყენების უფლება		-	333 272
სულ გრძელვადიანი აქტივები		79 678 749	46 836 546
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები	7	109 084 225	74 824 013
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	15 256 129	8 633 599
წინასწარ გადახდილი გადასახადები	9	239 819	678 113
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	10	9 913 173	29 275 798
სხვა მიმდინარე აქტივები		-	6 780
ფული და ფულის ექვივალენტები	11	6 381 261	16 305 526
სულ მიმდინარე აქტივები		140 874 607	129 723 829
სულ აქტივები		220 553 356	176 560 375
აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები			
აქციონერთა კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი		1 476 081	1 476 081
გაუნაწილებელი მოგება		163 749 219	143 600 054
მიწისა და შენობების გადაფასების რეზერვი	12	41 803 821	8 559 245
სულ აქციონერთა კაპიტალი		207 029 122	153 635 380
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
საიჯარო ვალდებულება		-	346 271
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	346 271
მიმდინარე ვალდებულებები:			
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	13	1 254 253	4 637 623
მიღებული ავანსები	14	11 419 339	17 501 275
გადასახდელი ხელფასები		850 642	439 824
სულ მიმდინარე ვალდებულებები		13 524 234	22 578 723
სულ ვალდებულებები		13 524 234	22 924 994
სულ აქციონერთა კაპიტალი და ვალდებულებები		220 553 356	176 560 375

გენერალური დირექტორი
22 აგვისტო 2025
თბილისი, საქართველო




შპს ჯი-თი მოტორს
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
მიმდინარე ოპერაციები			
შემოსავალი	15	350 780 648	307 609 204
რსთ	16	(269 251 328)	(230 931 119)
მთლიანი მოგება		81 529 320	76 678 085
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	17	(16 696 154)	(13 872 106)
ადმინისტრაციული ხარჯები	18	(8 292 568)	(7 130 248)
საპროცენტო შემოსავლები	19	1 561 912	1 308 144
საპროცენტო ხარჯები	20	(713 117)	(749 504)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	21	(1 248 416)	(486 276)
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	22	1 465 801	3 981 690
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	23	(391 634)	(541 414)
მოგება გადასახადამდე		57 215 145	59 188 370
წლის მოგება მიმდინარე ოპერაციებიდან		57 215 145	59 188 370
სხვა სრული შემოსავალი		33 639 589	
სულ წლის სრული შემოსავალი		90 854 734	59 188 370

გენერალური დირექტორი
 22 აგვისტო 2025
 თბილისი, საქართველო

შპს ჯი-თი მოტორს
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი
მიმდინარე ოპერაციები			
შემოსავალი	15	350 780 648	307 609 204
რსთ	16	(269 251 328)	(230 931 119)
მთლიანი მოგება		81 529 320	76 678 085
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	17	(16 696 154)	(13 872 106)
ადმინისტრაციული ხარჯები	18	(8 292 568)	(7 130 248)
საპროცენტო შემოსავლები	19	1 561 912	1 308 144
საპროცენტო ხარჯები	20	(713 117)	(749 504)
ფინანსური ხარჯი, წმინდა	21	(1 248 416)	(486 276)
სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	22	1 465 801	3 981 690
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	23	(391 634)	(541 414)
მოგება გადასახადამდე		57 215 145	59 188 370
წლის მოგება მიმდინარე ოპერაციებიდან		57 215 145	59 188 370
სხვა სრული შემოსავალი		33 639 589	
სულ წლის სრული შემოსავალი		90 854 734	59 188 370


გენერალური დირექტორი
22 აგვისტო 2025
თბილისი, საქართველო



შპს ჯი-თი მოტორს
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	მიწისა და შენობების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 1 იანვარი 2023	1 476 081	8 950 418	99 051 642	109 478 141
შენატანი საწესდებო კაპიტალში	-			
სულ წლის სრული შემოსავალი	-		59 188 370	59 188 370
გადახდილი დივიდენდები	-		(14 639 956)	(14 639 956)
ცვეთით რეზერვის კორექტირება		(391 176)		(391 176)
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	1 476 081	8 559 243	143 600 056	153 635 380
სულ წლის სრული შემოსავალი	-	33 639 589	57 215 145	90 854 734
გადახდილი დივიდენდები	-		(37 065 980)	(37 065 980)
ცვეთით რეზერვის კორექტირება		(395 013)		(395 013)
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	1 476 081	41 803 819	163 749 221	207 029 121

გენერალური დირექტორი
22 აგვისტო 2025
თბილისი, საქართველო

შპს ჯი-თი მოტორს
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	მიწისა და შენობების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 1 იანვარი 2023	1 476 081	8 950 418	99 051 642	109 478 141
შენატანი საწესდებო კაპიტალში	-			
სულ წლის სრული შემოსავალი	-		59 188 370	59 188 370
გადახდილი დივიდენდები	-		(14 639 956)	(14 639 956)
ცვეთით რეზერვის კორექტირება		(391 176)		(391 176)
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	1 476 081	8 559 243	143 600 056	153 635 380
სულ წლის სრული შემოსავალი	-	33 639 589	57 215 145	90 854 734
გადახდილი დივიდენდები	-		(37 065 980)	(37 065 980)
ცვეთით რეზერვის კორექტირება		(395 013)		(395 013)
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	1 476 081	41 803 819	163 749 221	207 029 121

გენერალური დირექტორი
22 აგვისტო 2025
თბილისი, საქართველო



შპს ჯი-თი მოტორს
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის მოგება გადასახადებამდე	57 215 145	59 188 370
კორექტირება:		
ცვეთა და ამორტიზაცია	2 402 671	2 333 495
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული მოგება	(306 939)	(149 909)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	24 487	106 827
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	1 248 416	486 276
ფინანსური ხარჯი	713 117	749 504
სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე	61 296 896	62 714 563
მარაგების კლება/(ზრდა)	(34 260 212)	(26 806 582)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/კლება	13 197 680	(13 934 324)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/კლება	(10 001 534)	7 735 916
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	30 232 830	29 709 573
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტი		(47 277)
გადახდილი პროცენტი	(695 383)	(705 875)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	29 537 447	28 956 421
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან შემოსული თანხები	2 027 100	2 516 055
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები	(3 744 945)	(6 128 679)
არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხები		(17 867)
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(1 717 845)	(3 630 491)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხებიდან შემოსული ფულადი სახსრები	5 707 575	9 283 013
სესხების დაფარვაზე გაცემული ფულადი სახსრები	(5 651 868)	(16 648 569)
გაცემული დივიდენდები	(37 065 980)	(14 639 956)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(313 204)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული	(37 010 273)	(22 318 716)
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში	(9 190 671)	3 007 214
საკურსო სხვაობის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულის ნაშთზე	(733 593)	(441 062)
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	16 305 525	13 739 373
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	6 381 261	16 305 525

გენერალური დირექტორი
22 აგვისტო 2025
თბილისი, საქართველო

შპს ჯი-თი მოტორს
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

2024 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წელი

2023 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წელი

ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის მოგება გადასახადებამდე	57 215 145	59 188 370
კორექტირება:		
ცვეთა და ამორტიზაცია	2 402 671	2 333 495
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული მოგება	(306 939)	(149 909)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	24 487	106 827
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	1 248 416	486 276
ფინანსური ხარჯი	713 117	749 504
სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო	61 296 896	62 714 563
აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		
მარაგების კლება/(ზრდა)	(34 260 212)	(26 806 582)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/კლება	13 197 680	(13 934 324)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/კლება	(10 001 534)	7 735 916
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	30 232 830	29 709 573
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტი		(47 277)
გადახდილი პროცენტი	(695 383)	(705 875)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	29 537 447	28 956 421
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან შემოსული თანხები	2 027 100	2 516 055
ძირითად საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები	(3 744 945)	(6 128 679)
არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხები		(17 867)
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(1 717 845)	(3 630 491)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხებიდან შემოსული ფულადი სახსრები	5 707 575	9 283 013
სესხების დაფარვაზე გაცემული ფულადი სახსრები	(5 651 868)	(16 648 569)
გაცემული დივიდენდები	(37 065 980)	(14 639 956)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(313 204)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული	(37 010 273)	(22 318 716)
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში	(9 190 671)	3 007 214
საკურსო სხვაობის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულის ნაშთზე	(733 593)	(441 062)
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	16 305 525	13 739 373
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	6 381 261	16 305 525

გენერალური დირექტორი
22 აგვისტო 2025
თბილისი, საქართველო




ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საქმიანობა

შპს „ჯი-თი მოტორს“ (შემდგომში - *კომპანია*) დაარსდა 2007 წლის 14 მარტს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2024 -2023 წლების 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის - 100% წილის მფლობელია - შპს „ჯი-თუ გრუპ“, ხოლო ამ უკანასკნელის უშუალო მფლობელებია ფიზიკური პირები: გიორგი თავდიშვილი (პ/ნ 61001002615) 33%-იანი წილით, გიორგი გველესიანი (პ/ნ 61001004135) 34%-იანი წილით და თემურ უსტიაშვილი (პ/ნ 61001007309) 33%-იანი წილით.

ძირითადი საქმიანობა. *კომპანიის* ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს ავტომანქანების იმპორტი და ვაჭრობა, ასევე ავტომანქანებისთვის ტექნიკური მომსახურების გაწევა.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა.

კომპანიის იურიდიული მისამართია დავით აღმაშენებლის ხეივანი #155, თბილისი, საქართველო.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

კომპანიის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ზას”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“ფასს”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს *კომპანიის* ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას, და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს *კომპანიის* ოპერაციებზე.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების საფუძველზე იმის დაშვებით, რომ *კომპანია* განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. *კომპანიის* ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს აქვთ სურვილი განავითარონ კომპანია საქართველოში. *კომპანიის* საქმიანობის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები *კომპანიის* საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება/ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1 გირვანქა	3.5349	3.4228
სტერლინგი		
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. *კომპანია* ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს *კომპანია* ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ

საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL).

კომპანია ფლობს ორი ტიპის ფინანსურ აქტივის, რომელთათვისაც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათ ექვივალენტი. კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის და სადეპოზიტო ფულადი სახსრებისათვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, სავაჭრო მოთხოვნები და დეპოზიტზე განთავსებული ფულადი სახსრები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია მონაცემებზე, შეფასებებსა და განსჯის მეთოდებზე რომელიც გამოყენებულ იქნა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელის შესაბამისი საქონელი კომპანიამ მიაწოდა დამკვეთს ან გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე იდენტიფიცირებული უიმედო მოთხოვნები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული ნაწილი დარეზერვებულია გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფად ბრუნვად მარაგებს. საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული არაბრუნვადი მარაგები წარმოადგენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობისათვის საჭირო მარაგებს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება და მისი ნაშთის არ არსებობა შესაძლოა გახდეს მიწოდების შეზღუდვის საფუძველი.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე, აგრეთვე საქონლის ან და მომსახურების მიწოდებამდე იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ღირებულება ან და ღირებულების ნაწილი წინასწარ, ავანსის სახით იქნა ჩ გადახდილი. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ ესტონურ მოდელზე გადასვლის შემდეგ (2017 წელი) მოგების გადასახადით დაზღვევას დაექვემდებარა არა მიღებული მოგება (მიუხედავად მისი განაწილებისა, როგორც იყო 2017 წლამდე), არამედ განაწილებული მოგება. თუმცა თუ მოგების განაწილება დივიდენდის სახით ხდება ესტონური მოდელის მქონე იურიდიულ პირზე, მაშინ მოგების გადასახადის გადახდა კომპანიას არ უწევს მანამ, სანამ დივიდენდის მიღები არ

იქნება ფიზიკური პირი. სწორედ ამით აიხსნება კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოგების გადასახადის ხარჯის არარსებობა, ვინაიდან კომპანია მიღებულ მოგებას ანაწილებს მის 100% მფლობელ ესტონური მოდელით მოქმედ კოპანიაზე.

თუმცა, გარდა ზემოაღნიშნულისა, სსკ-ის შესაბამისად ჩამოყალიბებულია ის შემთხვევები, როდესაც კომპანიის მიერ განხორციელებული ოპერაციები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას რადგან გათანაბრებულია მოგების განაწილებასთან.

ძირითადი საშუალებები

საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად ან მისაწოდებლად გამოყენებისათვის ან ადმინისტრაციული მიზნით ფლობილი მიწა და შენობა-ნაგებობები ცალკეული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რომელიც წარმოადგენს რეალურ ღირებულებას გადაფასების დღეს, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. კომპანია გადაფასების მეთოდს იყენებს 2017 წლის 1 იანვრიდან. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაფიქსირებული ღირებულების შეფასება განხორციელდა შპს კოლიერს ჯორჯიას მიერ 2024 წლის 31 დეკემბერს.

ამგვარი მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასებით წარმოშობილი ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება საკუთარ კაპიტალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაფასებით მიღებული ზრდა უკუგებას უკეთებს იმ ზარალს, რომელიც მანამდე გადაფასების შედეგად მოგება-ზარალში იყო აღიარებული, ამ შემთხვევაში ზრდა აღიარდება მოგება-ზარალში როგორც შემოსავალი იმ თანხის ოდენობით, რა თანხაც მანამდე მოგება-ზარალში როგორც ზარალი ისე იყო აღიარებული. ამგვარი მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების შედეგად წარმოშობილი შემცირება საბალანსო ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალში იმ თანხით, რა თანხითაც ის აჭარბებს ამ აქტივის წინა გადაფასებასთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის ნაშთს.

სხვა ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა მითითებულია თვითღირებულებით, საჭიროების შემთხვევაში აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწვევასა. შენობა-ნაგებობების კაპიტალური რემონტის, ასევე სხვადასხვა დანადგარებისა და მოწყობილობების ძირითადი ნაწილებისა და კომპონენტების შეცვლის ღირებულება, ასევე მათი გაუმჯობესება კაპიტალიზდება ამ ძირითად საშუალებაში.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით (აქტივის ნეტო სარეალიზაციო ღირებულება), და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

გაყიდვებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა არასაოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

ცვეთა

მიწას და მიმდინარე მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. გადაფასებული მიწებისა და შენობა-ნაგებობების ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში. გადაფასებული ქონების შემდგომი გაყიდვის ან ჩამოწერის შემთხვევაში, გადაფასების რეზერვში დარჩენილი შესაბამისი ნაშთი პირდაპირ გადადის გაუნაწილებელ მოგებაში.

სხვა ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო გამოყენების ვადების შესაბამისად:

სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:	
შენობები/ნაგებობები	20 – 25
კომპიუტერული და სხვა ტექნიკა	5 – 10
სპეციალური ინვენტარი	5 – 10
სატრანსპორტო საშუალებები	5 – 10
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5 – 10
გაყიდვებისა და საწარმოო განყოფილების აღჭურვილობა	5 – 10
მანქანა-დანადგარები	5 – 10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5 – 10
სხვა ძირითადი საშუალებები	5 – 10

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შემოსავალი

საწარმო იყენებს ფასს 15 სტანდარტის მოთხოვნებს: შემოსავალი აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალს აკლდება საქონლის სავარაუდო დაბრუნების, ფასდათმობებისა და სხვა მსგავსი შეღავათების ღირებულება. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც საქონლის ან მომსახურების კონტროლი კლიენტს გადაეცემა და იმ თანხით, რომლის მიღებასაც კომპანია ვარაუდობს ამ საქონლისა თუ მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

ხარჯები

კომპანია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც კომპანია წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის, მიწოდებისა და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს.

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

უიმედო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

შპს ჯი-თი მოტორს
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 6 - ძირითადი საშუალებები

დასახელება	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა-ნაგებობები	მანქანა დანადგარები	სპეციალური აღწერვილობა	კომპიუტერული ტექნიკა და მოწყობილობები	აკვეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	გაყიდვებისა და საწარმოო განყოფილების აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2023	22 954 998	(0)	16 753 306	2 414 245	821 475	683 840	1 047 788	4 630 600	2 404 791	221 632	668 387	52 601 063
შესყიდვა			8 518	122 433	46 653	21 893	795 753	4 357 223	380 316		95 701	5 828 491
კაპიტალიზაცია		161 168	12 140							126 881		300 189
ძირითადი საშუალებების გასვლა					(3 791)		(94 190)	(2 955 655)		(101 640)	(31 090)	(3 186 366)
რეკლასიფიკაცია ძირითადი საშუალებების ფარგლებში			(1)	(4 930)	219 127	(186 963)	88 534		(1 462 504)	(1 141)	1 347 878	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	22 954 998	161 168	16 773 963	2 531 749	1 083 464	518 771	1 837 885	6 032 168	1 322 603	245 731	2 080 876	55 543 376
შესყიდვა				115 905		18 965	243 159	2 103 046	121 062		314 491	2 916 628
კაპიტალიზაცია		745 751	82 566									828 317
ძირითადი საშუალებების გასვლა			(28 444)	(2 551)	(1 246)		(27 133)	(2 006 423)	(6 823)		(16 505)	(2 089 124)
ძირითადი საშუალებების გადაფასება	32 007 759		(1 991 626)									30 016 133
რეკლასიფიკაცია ძირითადი საშუალებების ფარგლებში												-
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	54 962 758	906 919	14 836 459	2 645 103	1 082 218	537 736	2 053 912	6 128 791	1 436 843	245 731	2 378 862	87 215 330
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2023	-	-	(2 212 525)	(1 199 977)	(551 935)	(462 702)	(638 033)	(868 510)	(1 024 021)	(120 239)	(537 186)	(7 615 128)
ცვეთის ხარჯი			(428 819)	(199 161)	(3 069)	(9 095)	(83 631)	(668 487)	(298 583)	(28 333)	(249 080)	(1 968 258)
რეალიზაცია-გასვლა					317		77 029	589 800		20 903	25 525	713 573
გადაფასების შედეგად ცვეთის ელიმინაცია			(391 176)									(391 176)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2023	-	-	(3 032 520)	(1 399 138)	(554 687)	(471 797)	(644 635)	(947 198)	(1 322 603)	(127 669)	(760 742)	(9 260 989)
ცვეთის ხარჯი			(427 141)	(188 834)	(74 634)	(13 126)	(272 506)	(765 404)	(31 797)	(17 984)	(249 266)	(2 040 694)
რეალიზაცია-გასვლა			3 684	2 066	5 537		8 184	315 456			12 990	347 917
გადაფასების შედეგად ცვეთის ელიმინაცია			3 228 443									3 228 443
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2024	-	-	(227 534)	(1 585 906)	(623 785)	(484 923)	(908 958)	(1 397 146)	(1 354 400)	(145 654)	(997 018)	(7 725 323)
2023 წლის 1 იანვარი	22 954 998	(0)	14 540 781	1 214 268	269 539	221 139	409 756	3 762 090	1 380 770	101 392	131 201	44 985 935
2023 წლის 31 დეკემბერი	22 954 998	161 168	13 741 443	1 132 611	528 776	46 974	1 193 251	5 084 971	(0)	118 062	1 320 134	46 282 387
2024 წლის 31 დეკემბერი	54 962 758	906 919	14 608 924	1 059 197	458 433	52 813	1 144 954	4 731 645	82 442	100 078	1 381 844	79 490 007

შპს ჯი-თი მოტორს
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

როგორც ზემოთაღვნიშნულთა, კომპანიის მიწა და შენობა-ნაგებობები მოცემულია გადაფასებული ღირებულებით, რომელიც წარმოადგენს რეალურ ღირებულებას გადაფასების დღეს, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. კომპანია გადაფასების მეთოდს იყენებს 2017 წლის 1 იანვრიდან. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაფიქსირებული ღირებულების შეფასება განხორციელდა შპს კოლიერს ჯორჯიას მიერ 2024 წლის 31 დეკემბერს.

კომპანიის მიერ ფლობილი შენობა ნაგებობები და მიწა ისტორიული ღირებულებით რომ ასახულიყო მათი საბალანსო ღირებულება იქნებოდა შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიწა	19 645 112	19 645 111
შენობა-ნაგებობა	8 122 748	8 492 085
სულ	27 767 861	28 137 196

შენიშვნა 7 - მარაგები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, მარაგების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მსუბუქი ავტომანქანები	80 762 962	59 066 956
მიკროავტობუსები და სპეც. ტექნიკა	18 043 002	7 066 000
სათადარიგო ნაწილები	9 734 370	8 195 891
ზეთები და საცხებ-საპოხი მასალები	65 342	67 010
ნედლეული და მასალები	472 883	425 864
დასამონტაჟებელი, ექსპლოატაციაში გადასაცემი ძირითადი საშუალებები	5 665	2 292
სულ	109 084 225	74 824 013

შენიშვნა 8 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, კომპანიის მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოიცავდა:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	14 993 064	8 634 233
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(1 935)	(4 225)
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	265 000	3 592
სულ	15 256 129	8 633 599

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა საანგარიშო პერიოდში შემდეგნაირია:

(ლარი)	2024 წელი	2023 წელი
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბერს	4 225	51 875
კორექტირება ბუღალტრული აღრიცხვის ახალი სტანდარტის გამოყენებისას		

შპს ჯი-თი მოტორს
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

გაუფასურების რეზერვი 1 იანვარს	4 225	51 875
დარიცხული გაუფასურება	1 935	4 225
გაუფასურების რეზერვის გაუქმება წლის განმავლობაში	(4 225)	(51 875)
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბერს	1 935	4 225

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვადიანობა 2024 და 2023 წლებში შემდეგია:

31 დეკემბერი 2024	0-3 თვემდე	3-6 თვემდე	6-12 თვემდე	12 თვეზე მეტი	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას, სულ	1 821 235	708 233	12 726 661	1 935	15 258 064
მსდ არსებობის მანძილზე	-	-	-	(1 935)	(1 935)

31 დეკემბერი 2023	0-3 თვემდე	3-6 თვემდე	6-12 თვემდე	12 თვეზე მეტი	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას, სულ	2 856 967	5 653 714	122 919	4 225	8 637 825
მსდ არსებობის მანძილზე	-	-	-	(4 225)	(4 225)

შენიშვნა 9- წინასწარ გადახდილი გადასახადები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, წინასწარ გადახდილი გადასახადები შედგება:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ბიუჯეტში წინასწარ გადახდილი გადასახადების თანხები	271 983	694 612
წინასწარ გადახდილი სოც.გადასახადი	(32 164)	(16 498)
სულ	239 819	678 113

შენიშვნა 10 - მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, კომპანიის მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები მოიცავდა:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	9 928 226	29 283 683
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების კორექტირება	(15 053)	(7 885)
სულ	9 913 173	29 275 798

შენიშვნა 11 - ფული და ფულის ექვივალენტები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავდა:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	39 934	115 266
ეროვნული ვალუტა ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	275 148	14 784 862
უცხოური ვალუტა ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	6 190 722	1 726 437
საგარანტიო თანხების დეპონირება ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	4 872	9 374
საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი თანხების დეფოლტი	(129 415)	(330 413)
სულ	6 381 261	16 305 526

საბანკო ნაშთების რეზერვების ანალიზი

ანგარიში	დასახელება	31.12.2023 ფულის ნაშთი ბანკში ექვივალ. ლარი	31.12.2024 ფულის ნაშთი ბანკში ექვივალ. ლარი	გაუფასურების პროცენტი	გაუფასურება
1 210	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	14 784 862	275 148	2%	5 503
1 220	უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1 726 437	6 190 722	2%	123 814
1 290	საგარანტიო თანხების დეპონირება საბანკო ანგარიშებზე	9 374	4 872.00	2%	97

დეფოლტის ალბათობის დასადგენად კომპანია იყენებს სარეიტინგო სააგენტოების მიერ მიღებულ ისტორიულ დეფოლტის ალბათობებს. ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე. მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მიხედვით. ჩვენს შემთხვევაში თანხები განთავსებულია საქართველოში არსებულ საბანკო ანგარიშებზე და რეიტინგებიდან გამომდინარე საწარმო ახორციელებს 2% იან მსზ-ის შექმნას, რაც დეტალურად წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

შენიშვნა 12 - მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვი

კომპანიის გადაფასების რეზერვი წარმოდგენილია მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვით. კომპანიამ 2024 წლის 31 დეკემბერს ამავე მდგომარეობით მოახდინა აღნიშნული ქონების გადაფასება, რამაც შესაბამისად გაზარდა გადაფასების რეზერვი. რეზერვის განაწილება მიწასა და შენობა-ნაგებობებზე შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიწის გადაფასების რეზერვი	35 317 646	3 309 887
შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვი	6 486 176	5 249 358
სულ	41 803 821	8 559 245

შენიშვნა 13 - მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, მომსახურებიდან და მიწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები სრულად შედგება სავაჭრო ვალდებულებებისაგან:

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
სავაჭრო ვალდებულებები	1 254 253	4 637 623
სულ	1 254 253	4 637 623

შენიშვნა 14 - მიღებული ავანსები

კომპანიის მიღებული ავანსები შედგება საქონლის მიწოდების ან და მომსახურების გაწევის სანაცვლოდ კლიენტებისგან მიღებული საავანსო თანხებისაგან:

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
სავაჭრო ვალდებულებები მიღებული ავანსებიდან	11 419 339	17 501 275
სულ	11 419 339	17 501 275

შენიშვნა 15- შემოსავალი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიის შემოსავალი მოიცავდა:

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
შემოსავალი მსუბუქი ავტომანქანების რეალიზაციიდან	252 846 572	241 193 938
შემოსავალი მიკროავტობუსების რეალიზაციიდან	73 262 906	38 697 208
შემოსავალი სათადარიგო ნაწილების რეალიზაციიდან	10 044 160	11 126 598
შემოსავალი ზეთი და საცხებ-საპოხი საშუალებების რეალიზაციიდან	1 325 742	1 818 739
შემოსავალი მომსახურებიდან	9 319 938	8 108 627
შემოსავალი საგარანტიო მომსახურებიდან	3 981 329	6 664 094
სულ	350 780 648	307 609 204

შენიშვნა 16 - რეალიზაციის თვითღირებულება

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიის რეალიზაციის თვითღირებულება მოიცავდა:

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
მსუბუქი ავტომანქანების თვითღირებულება	199 445 283	183 466 977
მიკროავტობუსების თვითღირებულება	55 328 809	30 088 756
სათადარიგო ნაწილები და სხვა თვითღირებულება	7 393 418	8 807 604
ზეთისა და საცხებ-საპოხი საშუალების თვითღირებულება	786 015	1 141 620
მომსახურების მასალების თვითღირებულება	3 479 936	3 420 221
საგარანტიო მომსახურების მასალების თვითღირებულება	2 817 868	4 005 941
სულ	269 251 328	230 931 119

შენიშვნა 17 - მიწოდების და მომსახურების ხარჯები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიის მიწოდების და მომსახურების ხარჯები მოიცავდა:

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
შრომის ანაზღაურება მიწოდებაზე	5 673 999	4 389 378
ცვეთა და ამორტიზაცია	2 402 671	2 333 495
რეკლამის ხარჯი	1 627 678	809 492
მიწოდების დამხმარე მასალების ხარჯი	427 944	499 874
ტრენინგებისა და მივლინების ხარჯი	521 160	390 412
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	165 687	508 872
სათადარიგო ნაწილების კატალოგების ონლაინ მომსახურების ხარჯი	133 103	139 478
ავტომანქანის გადაფორმების ხარჯი (მომსახურების სააგენტო)	559 442	546 708
წარმომადგენლობითი ხარჯი	209 128	545 919
საგადასახადო ხარჯი	2 128 114	1 892 177
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	790 677	346 931
დაცვის ხარჯი	348 820	108 072
დაზღვევის ხარჯი	346 036	245 411
რემონტის ხარჯი	123 223	179 731
კომუნალური და სამეურნეო ხარჯი	745 392	648 389
საშუამავლო ხარჯი	344 960	
მიწოდების სხვა ხარჯი	148 120	287 767
სულ	16 696 154	13 872 106

შენიშვნა 18- ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
ადმინისტრაციული შრომის ანაზღაურება	7 325 741	6 337 540
საკონსულტაციო ხარჯი	292 170	188 716
საიჯარო ქირა	25 699	7 894
საბანკო ოპერაციის ხარჯი	160 856	133 981
ოფისის ავტომატების საექსპლუატაციო ხარჯი	90 287	78 214
თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯი	169 667	92 818
დაზღვევის ხარჯი	22 935	18 917
კომპიუტერის ხარჯი	113 447	165 638
კომუნიკაციის ხარჯი	53 717	46 752
სხვა საერთო ხარჯი	38 050	59 778
სულ	8 292 568	7 130 248

შენიშვნა 19 - საპროცენტო შემოსავალი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიის საპროცენტო შემოსავალი მოიცავდა:

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
სს საქართველოს ბანკის მიმდინარე ანგარიშზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	680 280	1 099 849
სს თიბისი ბანკის მიმდინარე ანგარიშზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	881 632	208 295
სულ	1 561 912	1 308 144

შენიშვნა 20 - საპროცენტო ხარჯი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიის საპროცენტო ხარჯი მოიცავდა:

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
სს საქართველოს ბანკის საკრედიტო ხაზზე დარიცხული პროცენტები	11 015	21 972
სს საქართველოს ბანკის საბანკო გარანტიებზე დარიცხული პროცენტები	525 942	523 438
FCE - ბანკზე გადახდილი პროცენტები	158 014	154 644
საიჯაროვალდებულების საპროცენტო ხარჯი	18 146	49 449
სულ	713 117	749 503

კომპანიამ 2024 წლის განმავლობაში აიღო და დაფარა სესხი, სწორედ ამით აიხსნება ფინანსურ ანგარიშგებაში საპროცენტო ხარჯის არსებობა და სასესხო ვალდებულების არარსებობა, ვინაიდან კომპანიას არც 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და არც 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის სასესხო ვალდებულება არ ქონდა.

შენიშვნა 21 - ფინანსური ხარჯი, წმინდა

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ზარალი სავალუტო ოპერაციებზე მოიცავდა:

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
შემოსავალი კურსთაშორისი სხვაობიდან	137 844 908	54 525 325
ვალუტის კონვერტაციის ხარჯი	(673 628)	(686 354)
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	(138 419 696)	(54 325 247)
სულ	(1 248 416)	(486 276)

შენიშვნა 22 - სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიის სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი წარმოდგენილი იყო კომპანიის მიერ მომწოდებლებისაგან მიღებული ბონუსებით.

შენიშვნა 23 - სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის კომპანიის სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი წარმოდგენილია:

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან ან და ჩამოწერიდან მიღებული მოგება/ზარალი	306 939	2 720
შემოსავალი სპონსორობიდან	110 169	33 821
შემოსავალი სადაზღვევო შემთხვევებიდან	550 663	442 904
შემოსავალი ზიანის ანაზღაურებიდან	95 425	176 758
შემოსავალი საქონლის ზედმეტობიდან	51 774	105 568
დარიცხული პირგასამტეხლო/ჯარიმა	(35 561)	(373 756)
საეჭვო მოთხოვნების /სხვა ანარიცხების ხარჯი	(195 617)	(12 374)
სმფ-ის გაუფასურების ხარჯი	(616 684)	(78 958)
ზარალი კომპენსაციის გარეშე მიწოდებიდან	(503 575)	(909 546)
მოგება/ზარალი საგარანტიო მომსახურებიდან	(87 069)	47 315
საქველმოქმედო ხარჯი	(36 674)	(42 652)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(31 425)	66 786
სულ	(391 634)	(541 414)

რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მენეჯმენტის მიერ დანერგილი კონტროლები რიგ შემთხვევებში არ არის შესაბამისი საკრედიტო რისკების მინიმალიზაციისათვის, რის გამოც წამოიქმნება უიმედო მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე კომპანიამ დანაკარგების რეზერვის გამოსათვლელად გამოიყენა ფასს 9-ით გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომა. კომპანია ამ ერთეულებზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს რეზერვების მატრიცით, რომელიც მიიღება ისტორიული საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება მსესხებლების ვადაგადაცილების სტატუსს და კორექტირებულია მსესხებელთა სპეციფიურ ფაქტორებზე, მსესხებლის დარგის ზოგად ეკონომიკურ პირობებსა და საანგარიშგებო თარიღში პირობების მიმდინარე და საპროგნოზო მიმართულებების შეფასებით. შესაბამისად, ამ აქტივების საკრედიტო რისკის პროფილი წარმოდგენილია რეზერვების მატრიცით ვადაგადაცილების სტატუსის საფუძველზე.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15 256 129	8 633 599
ფული და ფულის ეკვივალენტი	6 381 261	16 305 526
სულ საკრედიტო რისკი	21 637 391	24 939 125

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიის დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

2024 წლის 31 დეკემბერი:

	მოთხოვნა 6 თვეზე ნაკლები დროით	6 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტი	6 381 261	-	-	6 381 261
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 264 468	12 726 661	1 935	14 993 064
სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები	8 645 729	12 726 661	1 935	21 374 326
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 137 226	117 026	-	1 254 253
სესხები	-	-	-	-
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები	1 137 226	117 026	-	1 254 253
ლიკვიდობის დეფიციტი	7 508 503	12 609 635	1 935	20 120 073
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	7 508 503	20 118 138	20 120 073	

2023 წლის 31 დეკემბერი:

	მოთხოვნა 6 თვეზე ნაკლები დროით	6 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტი	16 305 526	-	-	16 305 526
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8 507 089	122 919	4 225	8 634 233
სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები	24 812 615	122 919	4 225	24 939 759
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4 567 785	69 838	-	4 637 623
სესხები	-	-	-	-
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები	4 567 785	69 838	-	4 637 623
ლიკვიდობის დეფიციტი	20 244 830	53 081	4 225	20 302 136
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	20 244 830	20 297 911	20 302 136	

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება. როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან

სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის უწყისში) მინუს ფული და ფულის ეკვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის უწყისში პლუს წმინდა ვალი.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სულ სესხები	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	6 381 261	16 305 526
წმინდა სესხები	6 381 261	16 305 526
სულ კაპიტალი	207 029 122	153 635 380
წმინდა სესხების თანაფარდობა კაპიტალთან	3%	11%

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. კომპანია მიღებული საქონლის შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. მენეჯმენტის პოზიციით სავალუტო სხვაობის დასაშვები ცვლილებები გათვალისწინებულია მოგების მარჟის გაანგარიშებაში, რაც ამცირებს სავალუტო სხვაობით წარმოქმნილი ზარალის გავლენის არსებითობას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

	31 დეკემბერი 2024			31 დეკემბერი 2023		
	USD 1 = 2.8068 GEL	EUR 1 = 2.9306 GEL	GBP 1 = 3.5349 GEL	USD 1 = 2.6894 GEL	EUR 1 = 2.9753 GEL	GBP 1 = 3.4228 GEL
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	5 446 080	744 220	422	357 502	1 368 422	513
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 537 679	8 770 918	-	229 002	5 738 771	-
სულ ფინანსური აქტივები	6 983 759	9 515 139	422	586 504	7 107 193	513
ფინანსური ვალდებულებები						
სესხები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 537 601	259 268	63 489	4 694 785	97 223	91 427
სულ ფინანსური ვალდებულებები	1 537 601	259 268	63 489	4 694 785	97 223	91 427
სულ წმინდა პოზიცია	5 446 158	9 255 871	(63 067)	(4 108 281)	7 009 970	(90 915)

2024 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა		GBP ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL	GBP/GEL	GBP/GEL
	20%	- 20%	20%	- 20%	20%	- 20%
მოგება/(ზარალი)	1 089 232	(1 089 232)	1 851 174	(1 851 174)	(12 613)	12 613

2023 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა		GBP ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL	GBP/GEL	GBP/GEL
	20%	- 20%	20%	- 20%	20%	- 20%
მოგება/(ზარალი)	(821 656)	821 656	1 401 994	(1 401 994)	(18 183)	18 183

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

- (ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
- (ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
- (გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;
- (დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;
- (ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის

შპს ჯი-თი მოტორს
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

შპს ჯი-თი მოტორსის დებიტორული დავალიანების ბრუნვა ურთიერთდაკავშირებულ პირებთან:

ოპერაციის შინაარსი	კავშირის სახე	საიდენტიფიკაციო კოდი/პ.ნ	ნაშთი 1 იანვარი 2024	ბრუნვა დებ	ბრუნვა კრედ	ნაშთი 31 დეკემბერი 2024
შპს ჯი-თი გრუპი	საქონლის/მომსახურების მიწოდება	200119923	731	593 376	594 107	-
შპს ევროპროდუქტი	საქონლის/მომსახურების მიწოდება	202227134	670	447 293	447 963	-
თავდიშვილი გიორგი	საქონლის/მომსახურების მიწოდება	61001002615	235	312 432	105 874	206 793
გველესიანი გიორგი	საქონლის/მომსახურების მიწოდება	61001004135	0	11 023	10 112	911
უსტიაშვილი თემურ	საქონლის/მომსახურების მიწოდება	61001007309	30	2 614 802	2 614 832	-
სულ			1 667	3 978 926	3 772 888	207 705

შპს ჯი-თი მოტორსის კრედიტორული დავალიანების ბრუნვა ურთიერთდაკავშირებულ პირებთან:

ოპერაციის შინაარსი	კავშირის სახე	საიდენტიფიკაციო კოდი/პ.ნ	ნაშთი 1 იანვარი 2024	ბრუნვა დებ	ბრუნვა კრედ	ნაშთი 31 დეკემბერი 2024
შპს ევროპროდუქტი	საქონლის/მომსახურების შესყიდვა	202227134	122	15 166	15 044	-
შპს ჯი-თი გრუპი	საქონლის/მომსახურების შესყიდვა	200119923	38 009	2 684 142	2 646 581	448
შპს კოლხი	საქონლის/მომსახურების შესყიდვა	404870715	-	67 561	67 561	-
თავდიშვილი გიორგი	საქონლის/მომსახურების შესყიდვა	61001002615	-	55 387	55 387	-
უსტიაშვილი თემურ	საქონლის/მომსახურების შესყიდვა	61001007309	-	1 709 156	1 709 156	-
თავდიშვილი გიორგი	საზელფასო ვალდებულება	61001002615	22 061	1 046 585	1 097 800	73 276
გველესიანი გიორგი	საზელფასო ვალდებულება	61001004135	21 619	602 151	652 341	71 809
უსტიაშვილი თემურ	საზელფასო ვალდებულება	61001007309	21 619	1 641 132	1 691 322	71 809
სულ			103 430	7 821 280	7 935 192	217 342

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ორგანიზაციის მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, კომპანიას მიმდინარე პერიოდში არსებით თანხაზე სასამართლო დავა არ აქვს .

საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია სხვა რომელიმე სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

შემდეგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შევიდა ძალაში 2024 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

- ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ).

- ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები:

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2025 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

- შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

- ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილებები - IFRS 9-სა და IFRS 7-ში ცვლილებები (გამოქვეყნდა 2024 წლის 30 მაისს და ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2024 წლის 30 მაისს, IASB-მ გამოსცა IFRS 9-სა და IFRS 7-ში ცვლილებები, რათა:

(ა) დაზუსტდეს ზოგიერთი ფინანსური აქტივისა და ვალდებულების აღიარებისა და აღიარების შეწყვეტის თარიღი, ელექტრონული ფულადი გადარიცხვის სისტემის მეშვეობით დაფარული ზოგიერთი ფინანსური ვალდებულების ახალი გამონაკლისით;

(ბ) დაზუსტდეს და დაემატოს დამატებითი ინსტრუქციები იმის შესაფასებლად, აკმაყოფილებს თუ არა ფინანსური აქტივი მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის (SPPI) კრიტერიუმს;

(გ) დაემატოს ახალი გამჟღავნებები გარკვეული ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც აქვთ სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადები (მაგალითად, ზოგიერთი ინსტრუმენტი, რომლის მახასიათებლებიც დაკავშირებულია გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) მიზნების მიღწევასთან); და

(დ) განახლდეს გამჟღავნებები სხვა ყოვლისმომცველი შემოსავლის (FVOCI) მეშვეობით სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრული სააქციო ინსტრუმენტებისთვის.

კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

· IFRS 18 ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენა და გამჟღავნება (გამოქვეყნდა 2024 წლის 9 აპრილს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2024 წლის აპრილში, IASB-მ გამოსცა IFRS 18, ფინანსური ანგარიშგებაში წარდგენისა და გამჟღავნების ახალი სტანდარტი, რომელიც ფოკუსირებულია მოგების ან ზარალის ანგარიშგების განახლებებზე. IFRS 18-ში წარმოდგენილი ძირითადი ახალი კონცეფციები ეხება:

- მოგების ან ზარალის ანგარიშგების სტრუქტურას;

- ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების ან ზარალის გარკვეული მაჩვენებლების სავალდებულო გამჟღავნებას, რომლებიც ანგარიშგებულია ერთეულის ფინანსური ანგარიშგების გარეთ (ანუ მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული მაჩვენებლები); და

- აგრეგაციისა და დეზაგრეგაციის გაუმჯობესებულ პრინციპებს, რომლებიც ვრცელდება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებსა და შენიშვნებზე ზოგადად. IFRS 18 ჩაანაცვლებს IAS 1-ს; IAS 1-ში არსებული სხვა მრავალი პრინციპი შენარჩუნებულია, შეზღუდული ცვლილებებით.

IFRS 18 გავლენას არ მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში პუნქტების აღიარებაზე ან შეფასებაზე, მაგრამ შესაძლოა შეცვალოს ის, რასაც ერთეული ასახავს, როგორც მის „ოპერაციულ მოგებას ან ზარალს“. IFRS 18 გამოყენებული იქნება 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის და ასევე ვრცელდება შედარებით ინფორმაციაზე. კომპანია ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

· IFRS 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშგავალდებულების გარეშე: გამჟღავნებები (გამოქვეყნდა 2024 წლის 9 მაისს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

· IFRS 14, მარეგულირებელი გადავადებული ანგარიშები (გამოქვეყნდა 2014 წლის 30 იანვარს და ძალაშია 2016 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

· ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი).

· IFRS ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება (გამოქვეყნდა 2024 წლის ივლისში და ძალაში შევიდა 2026 წლის 1 იანვრიდან).

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

მმართველობითი ანგარიშგება
შპს „ჯი-თი მოტორს“
2024 წელი



□ კომპანიის სტრუქტურა საქმიანობის ძირითადი მიმართულებები


შპს „ჯი-თი მოტორს“ 2007 წლის 14 მარტიდან ოპერირებს ქართულ ბაზარზე და წარმატებით საქმიანობს საავტომობილო ინდუსტრიის სფეროში.

კომპანია დაფუძნებულია ჰოლდინგური ტიპის მრავალპროფილური კერძო კომპანიის - შპს „ჯი-თი გრუპ“-ის მიერ, რომლის სტრუქტურაც მოიცავს სხვადასხვა მიმართულებაზე დაფუძნებულ შვილობილ კომპანიებს.

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია წარმოგვიდგენს ჯი-თი გრუპ-ის სტრუქტურასა და შვილობილ კომპანიებს.

- **GT Motors - 100% წილით ფლობს მსუბუქი და კომერციული ავტომობილების მიმართულებას**
- **Kolkhi Group - 100% წილი სამშენებლო მასალების მიწოდების სფეროში**
- **Europduct - 50%-იანი წილი პრემიუმ სუპერმარკეტების ქსელში**

GT Group ასევე აქტიურად არის წარმოდგენილი ზეთებისა და საპოხი მასალების, მძიმე ტექნიკისა და სამშენებლო სექტორში, ხოლო დაახლოებით 1,000 თანამშრომელი წარმოდგენილია ქვეყნის ოთხ ქალაქში - თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, მარნეული.




ჯგუფი უზრუნველყოფს მომსახურებას როგორც საცალო, ისე კორპორატიული და სახელმწიფო სექტორისთვის, მის მიერ წარმომადგენელი ბრენდებისა და საოპერაციო მიმართულებების ფარგლებში.

		Engine Oils and Lubricants	Operated by 
		Light and Heavy Commercial Trucks	
		Construction Machinery	
		Agricultural Machinery	
		Special Machinery	
		Workshop Equipment and Special Tools	

შპს „ჯი-თი მოტორს“-ის საქმიანობა მოიცავს მსუბუქი და კომერციული ტიპის ავტომობილების იმპორტს, რეალიზაციას, გაქირავებასა და შემდგომ მომსახურებას, ასევე ორიგინალი სათადარიგო ნაწილების მიწოდებასა და გაყიდვას.

კომპანია საქართველოში ოფიციალურად წარმოადგენს წამყვან საერთაშორისო საავტომობილო ბრენდებს:

BMW; MINI; Ford; Land Rover; Jaguar; Suzuki;




შპს „ჯი-თი მოტორს“-ის პარტნიორები არიან მსოფლიოში ცნობილი ავტო მწარმოებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის უმაღლეს სტანდარტს:

- ☐ **Bayerische Motoren Werke AG (BMW)**
- ☐ **Jaguar Land Rover Limited**
- ☐ **Ford Motor Company**
- ☐ **Ford Trading Company**
- ☐ **Ford Werke GmbH**
- ☐ **Suzuki Magyar Zrt**

შპს „ჯი-თი მოტორს“-ი დაარსების დღიდან აქტიურად აფართოებს პარტნიორულ ქსელს საერთაშორისო ბრენდებთან.

2021 წელს კომპანია გახდა Ford-ის ოფიციალური დილერი აზერბაიჯანში, ხოლო 2022 წლიდან წარმოადგენს BMW და MINI ბრენდების ოფიციალურ იმპორტიორს საქართველოში.


ქვემოთ მოცემულია კომპანიის რეგიონული ზრდის ძირითადი ეტაპები 2007 წლიდან დღემდე-საერთაშორისო ბრენდებთან თანამშრომლობის, ბაზრის გაფართოებისა და სტრატეგიული პოზიციონირების ჭრილში.



შპს „ჯი-თი მოტორს“-ი მუდმივ ინვესტირებას ასორციელებს ტექნოლოგიურ განვითარებაში და ნერგავს დასავლურ პრაქტიკებს წამყვანი საერთაშორისო ბრენდების მხარდაჭერით.

კომპანიას გააჩნია რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე და მაღალტექნოლოგიური სამღებრო-სათუნუქე სერვისი, რომელიც სრულად შეესაბამება წარმოდგენილი ბრენდების სტანდარტებს, ხარისხის მოთხოვნებსა და ეკოლოგიურ ნორმებს.


სერვისი იყენებს წყლის ბაზაზე დამზადებულ, ეკოლოგიურად უსაფრთხო საღებავებს და სრულად აკმაყოფილებს გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტებს.



2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „ჯი-თი მოტორს“-ს ჰყავს 8,500-ზე მეტი აქტიური მომხმარებელი.

ამავე პერიოდში კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობამ შეადგინა 206 თანამშრომელი.

შპს „ჯი-თი მოტორს“-ს, 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, მისი დაფუძნების დღიდან, მიწოდებული ყავს 16469 ავტომანქანა, მათ შორის 1701 ერთეული რეალიზებულია 2024 წელს. კომპანიას მინიჭებული აქვს 16 უმნიშვნელოვანესი ჯილდო და საერთაშორისო აღიარება გაყიდვების და მომსახურების ხარისხის სფეროში მიღწეული წარმატებებისათვის.



☐ მომსახურების ცენტრები

კომპანიის ცენტრალური ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №155-ში. გაყიდვები და სერვისი მომსახურება ხორციელდება შემდეგ ობიექტებში:

- ☐ ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი #155;
- ☐ ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი #163;
- ☐ ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი #216
- ☐ ქ.ბათუმი, სულხან საბა ორბელიანის #21.

სერვის-ცენტრების ფუნქციონირების მთავარი მიზანია მომხმარებელზე ორიენტირებული, სწრაფი და ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფა, რაც ეფუძნება თანამედროვე მიდგომებსა და საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.

სერვის-ცენტრები ხელს უწყობენ:

- ☐ მომსახურების პროცესის გამარტივებას და მაღალი ხარისხის შენარჩუნებას
- ☐ მომხმარებელთა ლოიალობის პროგრამების (CLP) განვითარებას
- ☐ ავტომობილის გამართულ ფუნქციონირებას ექსპლუატაციის სრული ციკლის განმავლობაში
- ☐ მწარმოებლის პროგრამული განახლებებისა და საგარანტიო სერვისების უსასყიდლო მიწოდებას

აღნიშნული მიდგომა:

- ☐ ზრდის მომხმარებლის ჩართულობასა და ცნობადობას
- ☐ ამცირებს მომსახურების ღირსს
- ☐ აჩქარებს კომპანიის ბიზნეს-პროცესების განვითარებას

სერვის-ცენტრებში დასაქმებული პერსონალი მუდმივად ხელმძღვანელობს მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებით, რაც უზრუნველყოფს სტაბილურობას, პროფესიონალიზმს და მომხმარებელზე მაქსიმალურ ორიენტაციას.

☐ გაყიდვის არხები

შპს „ჯი-თი მოტორს“-ის გაყიდვების სტრუქტურა მოიცავს როგორც საცალო, ასევე კორპორატიულ და სახელმწიფო გაყიდვებს.

კომპანიაში წარმატებით მოქმედებს **Trade-in** პროგრამა, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს მეორადი ავტომობილის ჩაბარებისა და ახალი ავტომობილის შეძენის მოქნილ შესაძლებლობას. პროგრამა მოიცავს ფასთა სხვაობის დაფარვას ხელსაყრელი საბანკო პირობებით, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს შეძენის პროცესს.

□ მომავლის მიმართულებები


კომპანიის მიზანია ყოველწლიურად გააფართოვოს ბაზრის წილი და გაამყაროს ლიდერის პოზიცია საავტომობილო ინდუსტრიის სექტორში. შპს „ჯი-თი მოტორს“-ი აქტიურად მონაწილეობს სტრატეგიული განვითარების მიმართულებებში, რაც მოიცავს როგორც გაყიდვების არეალის ზრდას, ისე სერვისისა და ავტოტექნომსახურების ინფრასტრუქტურულ განახლებასა და მოდერნიზაციას.

2023 წლის გეგმების შესაბამისად, დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს დაახლოებით 40 მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელება თბილისში და ბათუმში, რომელიც გაგრძელდება 2024–2025 წლებში.

პროექტის შედეგად, კომპანია დაამატებს უახლესი კონცეფციით შექმნილ, თანამედროვე სტანდარტებითა და ტექნოლოგიებით აღჭურვილ ავტომობილების შოურუმებს ორივე ლოკაციაზე.

Location

The new BMW showroom next to the JLR center.



GT Motors owns 6500 sq.m. just next to the JLR showroom, for a dedicated showroom for BMW

Location Additional Opportunity in Batumi



13,480 sq.m. on the entrance of Batumi. In the front of the Batumi Port; 2.5km from the city center.

კომპანია აქტიურად ინარჩუნებს ახალი ავტომანქანებისა და უახლესი მოდელების შესყიდვის ზრდის ტენდენციას, ხელს უწყობს ახალი ბაზრის ათვისებას საქართველოს ფარგლებს გარეთ, და სთავაზობს მომხმარებლებს მოქნილ და ხელმისაწვდომ მომსახურების პირობებს. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კომპანია რეგულარულად აწარმოებს **სპეციალურ აქციებს**, რაც ამცირებს მომხმარებლის ფინანსურ ხარჯებს და ზრდის მათი კმაყოფილების დონეს.

კომპანია აქტიურად ატარებს კიბერ-უსაფრთხოების აუდიტს, რისკების იდენტიფიცირების, ინფორმაციული აქტივების დაცვის, დროული რეაგირების და საოპერაციო პროცესების ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით. 2024 წლიდან კომპანიას დაწყებული აქვს მუშაობა ხელოვნური ინტელექტის **(AI)** პროცესებში ინტეგრაციის მიმართულებით, რაც მიზნად ისახავს სერვისის ავტომატიზაციასა და მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესებას.

2025 წლიდან დაგეგმილია ევაკუაციის სერვისის ამოქმედება. ამ მიზნისთვის კომპანია უკვე ფლობს IVECO-ს ბრენდის უახლესი სისტემებით აღჭურვილ, ევროსტანდარტის სატვირთო ავტომობილს, რომელიც მოემსახურება როგორც გზებზე ევაკუაციას, ასევე მომხმარებლის ავტომობილის გეგმიურ სერვისზე გადაყვანასა და უკან დაბრუნებას.

აღნიშნული ინიციატივა უზრუნველყოფს დროის დაზოგვას, სერვისის კომფორტულობას და მომხმარებელთა კმაყოფილების კიდევ უფრო მაღალ დონეს.



2025 წლიდან დაგეგმილია მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის **(CRM)** სისტემის დანერგვა, რომლის მიზანია ცენტრალიზებული მომხმარებელთა ბაზის შექმნა და გარიგებების, კომუნიკაციისა და გაყიდვების პროცესების ავტომატიზაცია თანამედროვე ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებით. სისტემა უზრუნველყოფს მომხმარებელთან ურთიერთობის ციკლის სრულფასოვან მართვას, სერვისის პერსონალიზაციას და ანალიტიკაზე დაფუძნებული, ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას.

☐ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

შპს „ჯი-თი მოტორს“ მაღალი პასუხისმგებლობით უდგება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) საკითხს და განიხილავს მას როგორც გრძელვადიან სტრატეგიულ მიმართულებას, რომელიც კომპანიის საქმიანობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

მენეჯმენტი აქტიურად ავითარებს CSR სტრატეგიას, რომელიც ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ☐ შრომითი სტანდარტების დაცვა
- ☐ თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება
- ☐ თანამშრომელთა ჯანმრთელობასა და დასვენებაზე ზრუნვა
- ☐ ადამიანის უფლებების დაცვა
- ☐ ბიზნესის ეთიკურად წარმოება
- ☐ საქმიანობის გამჭვირვალობა

„ჯი-თი მოტორს“-ის ყველა თანამშრომელი ჩართულია ჯანმრთელობის დაზღვევის კორპორატიულ პროგრამაში, რაც მოიცავს როგორც ინდივიდუალურ, ასევე საოჯახო პაკეტებს, სპეციალური პირობებით.

☐ საკადრო პოლიტიკა და თანამშრომელთა განვითარებაზე ზრუნვა

შპს „ჯი-თი მოტორს“-ისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია საკადრო პოლიტიკის სრულყოფა, თანამშრომელთა მოტივაციის სისტემის განვითარება და შრომის ეფექტურობის ზრდა. კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა კადრების მოზიდვასა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის შესაბამის გადამზადებას. კომპანია აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სერტიფიცირებულ ტრენინგ-ცენტრებთან, რომლებიც ატარებენ გადამზადების კურსებს კომპანიის საქმიანობის სპეციფიკაზე მორგებული პროგრამების ფარგლებში, მათ შორის როგორც დაბალი, ისე საშუალო რგოლის მენეჯმენტისთვის.

ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, შპს „ჯი-თი მოტორს“-მა გააფორმა მემორანდუმი გლდანის პროფესიულ კოლეჯთან, რომლის საფუძველზეც კომპანია უზრუნველყოფს გადამზადებული პერსონალის მოზიდვასა და სტაჟირების ორგანიზებას.

კომპანიაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს ტექნიკური და გაყიდვების პერსონალის გადამზადება. დადგენილი პერიოდულობით, წინასწარ დაგეგმილი და დამტკიცებული სასწავლო პროგრამების ფარგლებში, სერვისისა და გაყიდვების თანამშრომლები მონაწილეობენ პარტნიორი ბრენდების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და სერტიფიკაციებში, მათ შორის:

- ☐ *Jaguar Land Rover Limited*
- ☐ *Ford Motor Company*
- ☐ *Bayerische Motoren Werke Aktiengesellschaft*
- ☐ *Suzuki Magyar Zrt*

გარდა ამისა, პერსონალი მონაწილეობს რეგიონულ პროფესიულ შეჯიბრებებში, რაც ხელს უწყობს მათი კვალიფიკაციის გაუმჯობესებას როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სასწავლო პროგრამები მოიცავს არა მხოლოდ ტექნიკური ცოდნის გაღრმავებას, არამედ მომსახურების სრულყოფისთვის საჭირო მოდულებს, მათ შორის კომუნიკაციის მენეჯმენტის თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებს.

მომხმარებელთან ურთიერთობის პასუხისმგებლობა

მომხმარებელთან ეფექტური და სწრაფი კომუნიკაციის მიზნით, კომპანიაში ფუნქციონირებს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს:

- ☐ ავტოტექნოლოგიების წინასწარ დაჯავშნას
- ☐ კომპეტენტურ კონსულტაციასა და რეკომენდაციებს ავტომანქანის მდგომარეობისა და სერვისის პროცესთან დაკავშირებით
- ☐ ამომწურავ ინფორმაციას მომსახურების პირობებსა და სპეციფიკაზე

გარდა ზემოაღნიშნული არხებისა, მომხმარებლებს შეუძლიათ დისტანციურად ისარგებლონ სერვისებით შემდეგ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე:

- ☐ <https://www.landrover-georgia.com/ge/>
- ☐ <https://www.jaguar-georgia.com/ge/>
- ☐ <https://ford.com.ge/>
- ☐ <https://www.bmw-georgia.com/en/index.html>

აღნიშნული ვებ-გვერდების მეშვეობით მომხმარებლებს შეუძლიათ შემდეგი მომსახურების დისტანციურად მიღება:


- ☐ ინფორმაცია ბრენდის უახლესი და არსებული მოდელების შესახებ.
- ☐ ავტომანქანის კონფიგურატორის მეშვეობით სასურველი მოდელის აწყობა/შექმნა.
- ☐ კომპანიის სიახლეები და შეთავაზებები
- ☐ ავტომანქანის სერვისთან და გარანტიასთან დაკავშირებული ინფორმაციები.

კომპანიაში შექმნილია ბიზნეს პროცესებისა და ხარისხის მენეჯმენტის BPM განყოფილება, რომლის ძირითადი მიზანია კომპანიის ეფექტურობის ზრდა და მწარმოებლის სტანდარტების დაცვა.

2021 წლიდან შპს „ჯი-თი მოტორს“-მა, მომხმარებელთა კომფორტის გაუმჯობესების მიზნით, დანერგა წინასწარი ვიზიტის დაჯავშნის სერვისი **Jaguar Land Rover**-ის საერთაშორისო პლატფორმაზე - **NetDirector Service Booking**. სერვისი მომხმარებლებს საშუალებას აძლევს დაზოგონ დრო და მიიღონ მომსახურება სწრაფად და ორგანიზებულად, მათთვის სასურველ დროს.

მომსახურების ხარისხისა და ეფექტურობის გასაუმჯობესებლად ოპერაციების ტრანსფორმაციის პროცესი მოიცავს:

- ☐ პროცესების ტესტირებას, კონტროლს და მონიტორინგს
- ☐ საშუაოს შესწავლასა და დოკუმენტირებას
- ☐ სისტემის მოდერნიზაციას, ავტომატიზაციასა და ეფექტურ იმპლემენტაციას



☐ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სტანდარტების დასაცავად გატარებული ღონისძიებები

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სამსახურის მხრიდან, ორგანიზაციის ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ შესასრულებელი სპეციფიკური სამუშაოების გათვალისწინებით, შექმნილია ჯგუფური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელიც აუცილებელია შრომის უსაფრთხო პირობების შესაქმნელად. კომპანიის მიზანია მისი საქმიანობის წარმართვა გარემოს ზიანის ზემოქმედების გარეშე და ნარჩენების მაქსიმალური შემცირებით.

კომპანიის მენეჯმენტი სრულად ჩართულია შრომის უსაფრთხოების სისტემების განვითარებასა და ოპერირებაში შიდა რესურსთან ერთად, შპს „ჯი-თი მოტორს“-მა დამატებით გააფორმა ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების დაცვის კომპანიასთან, რომელიც შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების ჩართულობით, ყოველდღიურად, ადგილზე ამოწმებს ჩვენი სამუშაო პირობების შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან და იძლევა შესაბამის ანალიზს, შეფასებას და სამომავლო რეკომენდაციებს.

☐ პროგრამული უზრუნველყოფა

შპს „ჯი-თი მოტორს“-მა ავტომობილების მომსახურების სპეციფიკაზე მორგებული **DMS სისტემის (Incadea)** დანერგვა დაიწყო 2018 წლის აგვისტოში, ხოლო სრულფასოვან რეჟიმში სისტემა ამოქმედდა 2020 წლის 1 იანვარს.

Incadea განაგრძობს განვითარებას დამატებითი ფუნქციონალით, რაც ხელს უწყობს ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციას, ამცირებს ოპერაციულ დროს და ზრდის პროცესების ეფექტიანობას.

DMS სისტემა მოიცავს შემდეგ ძირითად მოდულებს:

- ☐ შესყიდვები
- ☐ გაყიდვები
- ☐ საწყობი
- ☐ ინტეგრირება საბუღალტრო პროგრამასთან

აღნიშნული ფუნქციონალი უზრუნველყოფს:

- ☐ სამუშაო პროცესების უფრო სწრაფ და გამჭვირვალე წარმართვას
- ☐ ანალიტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობას
- ☐ ოპერატიულ კონტროლს მარაგებზე, ნაშთებზე და კონკრეტული ავტომანქანის მომსახურების ისტორიაზე

□ კომპანიის ფინანსური და არაფინანსური რისკები

შპს „ჯი-თი მოტორს“-ში რისკების მართვის პროცესები დაფუძნებულია ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურ მართვაზე.

სავალუტო რისკი - შპს „ჯი-თი მოტორს“-ის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, რაც ქმნის სავალუტო რისკს იმ პირობებში, როდესაც იმპორტირებული პროდუქციის შეძენა უცხოურ ვალუტაში ხორციელდება, ხოლო შემოსავლების უმეტესობა მიღებულია ლარში.

სავალუტო კურსის ცვლილება პირდაპირ აისახება მომავალ გარიგებათა ღირებულებაზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმპორტზე ორიენტირებული ბიზნესისთვის. შესაბამისად, ეროვნული ვალუტის სტაბილურობა კომპანიის ოპერაციული მდგრადობისთვის კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს.

კომპანია სავალუტო რისკს აფასებს როგორც საშუალო სირთულის და მუდმივად ახორციელებს მონიტორინგს, რაც მოიცავს საკურსო სხვაობების ანალიზს, ფასების მართვას და გაცვლით კურსთან დაკავშირებული საკითხების კონტროლს.

მენეჯმენტი ადგენს რისკის ლიმიტებს კონკრეტული ვალუტის მიხედვით, ხოლო სავალუტო რისკების მონიტორინგი ხორციელდება ყოველდღიურ რეჟიმში, რაც უზრუნველყოფს დროულ რეაგირებას კურსის მერყეობაზე და ოპერაციული პროცესების სტაბილურობას.

საპროცენტო განაკვეთის რისკი - ბიზნესის საქმიანობაზე გავლენას ახდენს ისეთი ეკონომიკური ფაქტორები როგორიც არის საბანკო პროცენტის ზრდა სესხებსა და საკრედიტო ხაზებზე, რაც პირდაპირ აისახება ბიზნესის საქმიანობაზე და კაპიტალური პროექტების განხორციელებაზე. მიმდინარე პერიოდში კომპანიას სრულად დაფარული აქვს საკრედიტო ხაზები. საკრედიტო ხაზის ყველა ხელშეკრულება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით არის გაფორმებული და გრძელვადიანი სესხი არ გააჩნია. მოცემულ ვითარებაში საპროცენტო განაკვეთის რისკი მინიმალურია და არ ახდენს არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ სტაბილურობაზე.

ლიკვიდურობის რისკი - ოპერაციული დაფინანსების ლიკვიდურობის რისკი ძირითადად უკავშირდება ფულადი სახსრების ყოველდღიურ მოძრაობას. მისი გონივრული მართვა კი ეფუძნება საკმარისი ფულადი რესურსის შენარჩუნებასა და დაფინანსების ხელმისაწვდომობას. კომპანია ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს ფულადი ნაკადების მოძრაობის მართვას და მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფს როგორც ლიკვიდობის, ასევე საოპერაციო მოთხოვნების ეფექტურ დაკმაყოფილებას. კომპანიას ასევე მუდმივად შენარჩუნებული აქვს სტაბილური დაფინანსების ბაზა დამტკიცებული საკრედიტო ხაზების მეშვეობით.

ადამიანური კაპიტალის რისკი - ადამიანური კაპიტალის (განათლების დონე, გადამზადების ხარისხი) განვითარების მაღალი ტემპი, მათ შორის განათლების დონე და გადამზადების ხარისხი ხელს უწყობს კომპანიის სტრუქტურულ ტრანსფორმაციასა და ღირებულების შექმნას. საკადრო რესურსის დეფიციტის თავიდან აცილების მიზნით, კომპანია მუდმივად ზრუნავს შრომით ურთიერთობებზე, აწარმოებს HR-ანალიტიკას, რასაც მინიმუმამდე დაყავს შრომითი ანაზღაურების დისკრიმინაციის რისკი და კადრების დენადობა;

მუდმივი ინვესტიცია ადამიანურ კაპიტალში, მათ შორის გადამზადება, უნარების გაძლიერება და შრომითი პირობების გაუმჯობესება წარმოადგენს კომპანიის ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ ძალას.

□ კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმები

კონტროლი ჩვენი კომპანიის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია რაც მენეჯმენტის საქმიანობის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს.

მენეჯმენტი მუდმივად განსაზღვრავს სტრატეგიულ მიმართულებებს და აკონტროლებს მიზნების შესრულებას ეფექტიანობისა და შედეგზე ორიენტირებულობის პრინციპით.

კონტროლის ძირითადი ელემენტებია :

- ☐ მომხმარებელთან ურთიერთობის პროცესის მონიტორინგი
- ☐ პერსონალის საქმიანობის კონტროლი
- ☐ კორპორატიული მართვის სტანდარტების დაცვა
- ☐ უფლებამოსილების გონივრული დელეგირება და მისი ზედამხედველობა
- ☐ დაგეგმილი ამოცანების შესრულების პროცესის კონტროლი
- ☐ სამუშაოს ხარისხის, მოცულობის და შესრულების ვადების შეფასება
- ☐ მმართველობითი აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანალიტიკის სისტემური კონტროლი
- ☐ ფულადი ნაკადების ეფექტური მართვა და მონიტორინგი
- ☐ IT ინფრასტრუქტურისა და ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა
- ☐ რისკების იდენტიფიკაცია და დროული რეაგირება
- ☐ თაღლითობისა და სხვა დარღვევების პრევენცია.

შპს „ჯი-თი მოტორს“-ში დანერგილია კონტროლისა და ანალიზის თანამედროვე სისტემა, რომელიც დაფუძნებულია ბიზნეს პროცესების მუდმივ მონიტორინგსა და თანამშრომელთა მოტივაციის ეფექტურ მოდელზე.

მომსახურების ხარისხს აკონტროლებს სპეციალიზებული ხარისხის კონტროლერი, რომელიც პასუხისმგებელია დადგენილი სტანდარტების დაცვასა და პროცესების გაუმჯობესებაზე

☐ კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავალი, რეალიზებული საქონლის თვითღირებულება, საერთო მოგება

შპს „ჯი-თი მოტორს“-ის საოპერაციო შემოსავალმა რეალიზაციიდან 2024 წელს შეადგინა 350 780 648 ლარი, რაც 14.03 %-ით აღემატება 2023 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს (307 609 204 ლარი).

შემოსავლების ზრდა ძირითადად განპირობებულია კომპანიის წარმატებული ოპერირებით აზერბაიჯანის ბაზარზე, რაც მნიშვნელოვნად აისახა მიკროავტომობილების რეალიზაციის ზრდაზე. დამატებით, პოზიტიური გავლენა იქონია ახალი ავტომობილების მიმართ გაზრდილმა მოთხოვნამ და პროდუქტის პორტფელში ახალი ბრენდის ინტეგრაციამ.

რეალიზებული პროდუქციისა და მომსახურების თვითღირებულება გაიზარდა 16.59%-ით წინა წელთან შედარებით, რაც შეესაბამება შემოსავლების დინამიკას და ასახავს კომპანიის გაფართოებული საქმიანობის მოცულობას.

	2024	2023	ცვლილება
შემოსავალი	350,780,648	307,609,204	+14.03%
რსთ	-269,251,328	-230,931,119	+16.59%
საერთო მოგება	81,529,320	76,678,085	+6,33%

საოპერაციო ხარჯები და მოგება საოპერაციო საქმიანობიდან

2024 წლის საოპერაციო მოგება **58,006** მილიონი ლარია, რომელიც -2,77 %-ით შემცირებულია 2023 წელთან მიმართებაში. საერთო მოგებამ **81,529** მილიონი ლარი შეადგინა, რაც **6,33** %-ით აღემატება წინა წლის შედეგს.

	2024	2023	ცვლილება
შემოსავალი	350 780 648	307 609 204	14.03%
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	- 269 251 328	- 230 931 119	16.59%
საერთო მოგება	81 529 320	76 678 085	6.33%
საერთო მოგების მარჟა	23.2%	24.9%	
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	- 16 696 154	- 13 872 106	20.36%
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	- 8 292 568	- 7 130 248	16.30%
სხვა შემოსავალი/ხარჯი (ნეტო)	1 465 801	3 981 690	-63.19%
საოპერაციო მოგება	58 006 399	59 657 420	-2.77%
საოპერაციო მოგების მარჟა	16.5%	19.4%	

□ საოპერაციო მოგების შემცირების განმარტებული ფაქტორები:

- კომპანიის მასშტაბის გაფართოება და ბაზარზე აქტიური პოზიციონირება;
- მიწოდებისა და ადმინისტრაციული ხარჯების ზრდა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რაც ასევე პოზიტიურად აისახა შემოსავლების ზრდაზე;
- სხვა შემოსავლების კლება, რაც 2023 წლის არასაოპერაციო შემოსავლების ეფექტის შემცირებით იყო განპირობებული;
- სტრატეგიული ხარჯვა, რაც მიზნად ისახავს კომპანიის გრძელვადიან პოზიციონირებას და ბაზრის წილის ზრდას;

□ EBITDA

კომპანიის EBITDA 2024 წელს 3%-ით არის შემცირებული წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით და შეადგინა 55,604 მილიონი ლარი. EBITDA-ს 3%-იანი შემცირება განპირობებულია კომპანიის გაფართოებასთან დაკავშირებული საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების ზრდით. დამატებით, ამორტიზაციის ხარჯების ზრდა უკავშირდება აქტივების განახლებასა და საინვესტიციო საქმიანობას, რაც მიზნად ისახავს კომპანიის გრძელვადიან განვითარებას. EBITDA-ს შემცირება არ წარმოადგენს ნეგატიურ ტენდენციას, არამედ ასახავს სტრატეგიულ ცვლილებებს, რომლებიც მიმართულია კომპანიის მასშტაბური ზრდისა და ეფექტიანობის მომავალ გაუმჯობესებაზე.

	2024	2023	ცვლილება
შემოსავალი	350 780 648	307 609 204	14.03%
საოპერაციო მოგება	58 006 399	59 657 420	-2.77%
ცვეთა და ამორტიზაცია	- 2 402 671	- 2 333 495	2.96%
EBITDA	55 603 728	57 323 925	-3.00%

□ ფინანსური შემოსავალი/ხარჯი (ნეტო)

2024 წელს შპს „ჯი-თი მოტორს“-ის ფინანსურმა ხარჯმა შეადგინა 713,117 ლარი, რაც 4.9%-ით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით.

ფინანსური ხარჯი ძირითადად მოიცავს საბანკო სესხებზე, საგარანტიო ვალდებულებებსა და მომწოდებლებთან გაფორმებულ სპეციალურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯებს.

ხარჯის შემცირება გამოწვეულია კომპანიის მიერ ფინანსური ვალდებულებების სტრუქტურული შემცირებით და ეფექტური საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებით, რაც თავის მხრივ ამცირებს საპროცენტო დანახარჯებს და ამყარებს საკრედიტო პოზიციას.

2024 წლის კომპანიის კურსთაშორისმა ზარალმა შეადგინა 1,246,416 ლარი, რაც ეროვნული ვალუტის მერყეობასა და გარე ბაზრებზე მოქმედი გაცვლითი კურსების გაუფასურებით იყო გამოწვეული.

კომპანია აგრძელებს კურსის რისკების ეფექტურ მართვას, რაც მიზნად ისახავს კურსთაშორისი ზარალის შემცირებას.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, კომპანიის წმინდა მოგება 2024 წლის ბოლოს შეადგენს 57.2 მილიონ ლარს, რაც 3.3%-ით ნაკლებია 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით. აღნიშნული შედეგი ასახავს გარე და შიდა ფინანსური ფაქტორების გავლენას კომპანიის ოპერაციულ და კომერციულ საქმიანობაზე.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი:

თემურ უსტიაშვილი

□ **ფინანსური შემოსავალი/ხარჯი (ნეტო)**

2024 წელს შპს „ჯი-თი მოტორს“-ის ფინანსურმა ხარჯმა შეადგინა 713,117 ლარი, რაც 4.9%-ით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით.

ფინანსური ხარჯი ძირითადად მოიცავს საბანკო სესხებზე, საგარანტიო ვალდებულებებსა და მომწოდებლებთან გაფორმებულ სპეციალურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯებს.

ხარჯის შემცირება გამოწვეულია კომპანიის მიერ ფინანსური ვალდებულებების სტრუქტურული შემცირებით და ეფექტური საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებით, რაც თავის მხრივ ამცირებს საპროცენტო დანახარჯებს და ამყარებს საკრედიტო პოზიციას.

2024 წლის კომპანიის კურსთაშორისმა ზარალმა შეადგინა 1,246,416 ლარი, რაც ეროვნული ვალუტის მერყეობასა და გარე ბაზრებზე მოქმედი გაცვლითი კურსების გაუფასურებით იყო გამოწვეული. კომპანია აგრძელებს კურსის რისკების ეფექტურ მართვას, რაც მიზნად ისახავს კურსთაშორისი ზარალის შემცირებას.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, კომპანიის წმინდა მოგება 2024 წლის ბოლოს შეადგენს 57.2 მილიონ ლარს, რაც 3.3%-ით ნაკლებია 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით. აღნიშნული შედეგი ასახავს გარე და შიდა ფინანსური ფაქტორების გავლენას კომპანიის ოპერაციულ და კომერციულ საქმიანობაზე.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი:

თემურ უსტიაშვილი

